42(077)
ბ-777

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნანა ბლუაშვილი

# გრამატიკული მასალის მიწოდებისა და განმტკიცების გზები ინგლისური ენის სწავლების V-VIII კლასებში (ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების პირობებში)

13.00.02 სწავლების მეთოდიკა

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

**ავტორეფერატი**

თბილისი 2004

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნია კაკუშაძე-მდინარაძე. პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: ნათელა იმედაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ირინე ჩიბურდანიძე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წლის 11 ნოემბერს 15 საათზე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტთან არსებულ პედაგოგიკის სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს **(PD 13.00 CN 1)** სხდომაზე (380079, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 32)

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (380079, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 32)

ავტორეფერატი დაიგზავნა 2004 წლის 11 ოქტომბერს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ც. ლოლაძე

- 1936 -

**თემის აქტუალურობა**: ინგლისური ენის, როგორც საერთაშორისო ენის, როლი დღითიდღე იზრდება. იგი არის არა მხოლოდ სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის კომუნიკაციის საშუალება, არამედ ახლადშექმნილი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის, მსოფლიო არენაზე გასვლისა და, შესაბამისად, ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორიც.

სკოლაში უცხოური ენების სწავლება, დღეს უაღრესად აქტუალური პრობლემა, ქართული სკოლის მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მასზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი მომავალი თაობის საერთო მომზადების, განათლებისა და განვითარების საქმე. უცხოური ენის სწავლება მჭიდროდ არის დაკავშირებული განათლებისა და აღზრდის ძირითად პრობლემებთან. მეცნიერებასა და ტექნიკაში ახალი აღმოჩენების საფუძვლიანი გაგება, გააზრება და გამოყენება არ მოხერხდება, თუ ცალკეული დარგის სპეციალისტს არ მიეცემა შესაძლებლობა ორიგინალში გაეცნოს მისთვის საინტერესო საკითხებს.

ჩვენს ახალგაზრდობას ყველა პირობა უნდა შევუქმნათ უცხოური ენების საფუძვლიანი შესწავლისათვის. დღეს, როცა მეცნიერების, ამა თუ იმ ქვეყნის კულტურის მიღწევები მსოფლიოს ხალხთა ინტერესს იწვევს, უცხოური ენის დაუფლების გარეშე ახალგაზრდობას არ ექნება შესაძლებლობა ამ მიღწევების გაცნობა-გაზიარებისა. მოსწავლეთათვის უცხოური ენების სწავლების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს გრამატიკული მასალის ეფექტურად მიწოდების და განმტკიცების გზები და ხერხები წარმოადგენს.

საშუალო სკოლაში სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ, სწავლების პირადმა გამოცდილებამ, კოლეგების მოსაზრებათა გაზიარებამ და სკოლის კურსდამთავრებულთა ცოდნის საერთო მდგომარეობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ უცხოური ენის ცოდნის დონე ხშირად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს; არსებობს ბევრი ხარვეზი გრამატიკული უნარ-ჩვევების განვითარების თვალსაზრისით. გრამატიკის, როგორც რთული და "მშრალი" მასალის, შესწავლის ხარისხი უმეტეს შემთხვევაში ძალიან დაბალია. ეს კი უარყოფითად აისახება უცხოური ენის სწავლების ერთიან პროცესზე. ამ გარემოებამ განაპირობა ჩვენი საკვლევი პრობლემის არჩევანი, ვფიქრობთ, იგი აქტუალურია და საჭირო როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით.

**კვლევის ობიექტია** საშუალო სკოლის V-VIII კლასებში უცხოური ენის გაღრმავებული სწავლების პრობლემა.

**კვლევის საგანია** გრამატიკის სწავლების ეფექტიანი გზების ძიება, ტრადიციული და ინოვაციური ფორმებისა და მეთოდების ადგილისა და როლის განსაზღვრა ამ პროცესში. სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, სიმღერის, ლიტერატურული ნაწარმოებების, ვიზუალური მასალის (სურათების, ცხრილების, გრაფიკების), დიდაქტიკური თამაშების გამოყენება სხვადასხვა ტიპის, სავარჯიშოების საშუალებით, რომელთა შესრულებისას, გრამატიკული უნარ-ჩვევების სრულყოფის მიზნით, ადგილი აქვს გრამატიკული მასალის ლატენტურ შეთვისებას. გრამატიკული მასალის მიწოდება-განმტკიცების მეთოდების დაზუსტება